სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის პირველი ნაწილის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში Master Programme in European Studies
კოდი	**LawMAES**
პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი Master in European Studies
პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ევროპისმცოდნეობის კვლევის მაგისტრი Research Master in European Studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა შედგება არანაკლებ 60 ECTS კრედიტიანი პირველი ნაწილისა და არანაკლებ 60 ECTS კრედიტიანი მეორე ნაწილის კომპონენტებისგან. **პროგრამის პირველი ნაწილი** მოიცავს ჯამში 60 კრედიტს (ECTS), რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: **სავალდებულო სასწავლო კურსები:** 35 კრედიტი (ECTS); **არჩევითი სასწავლო კურსები:** 15 კრედიტი (ECTS). **თავისუფალი სასწავლო კურსები:** 10 კრედიტი (ECTS). სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 სემესტრი, 1 წელი. **პროგრამის მეორე ნაწილი** მოიცავს ჯამში 60 კრედიტს (ECTS), რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: **სავალდებულო სასწავლო კურსი:** 5 კრედიტი (ECTS); **სავალდებულო კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი):** 30 კრედიტი (ECTS); **არჩევითი სასწავლო კურსები:** 15 კრედიტი (ECTS); **თავისუფალი სასწავლო კურსები:** 10 კრედიტი (ECTS). სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა: 2 სემესტრი, 1 წელი.
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:** 1. **ნათია ლაპიაშვილი,** შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, შვეიცარიის ჟენევის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი საერთაშორისო დავების მოგვარებაში, ლატვიის რიგის სამართლის სკოლის მაგისტრი საერთაშორსო სამართალსა და ევროკავშირის სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ

	სამართლის მაგისტრი და ბაკალავრი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2. **თამაზ ზუბიაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 3. **დანიელა ურსე,** ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი; **სამაგისტრო პროგრამის ავტორი და აკადემიური კოორდინატორი:** 1. **ნინო ლაპიაშვილი,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ჟან მონეს მოდულის მფლობელი აკადემიური პერსონალი, ედინბურგის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) სამეცნიერო სამაგისტრო პროგრამის მეცნიერებათა მაგისტრი პოლიტოლოგიაში, სამართლისა და მმართველობის სკოლის (რომი და ათენი/იტალია) სამართლის მაგისტრი ევროკავშირის სამართალში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი/უნგრეთი) იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი ადამიანის უფლებების სფეროში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი და ბაკალავრი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის პირველ ნაწილზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სამართლის, სოციალური და პოლიტიკის მეცნიერების, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი), რომელიც წარმატებით გაივლის საერთო სამაგისტრო გამოცდასა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს: 1. ინგლისური ენის გამოცდა B2 დონეზე; 2. სპეციალობის გამოცდა (წერითი კომპონენტი); 3. გასაუბრება (ზეპირი კომპონენტი). ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (TOEFL, IELTS, FCE), ასევე, კანდიდატი, რომელსაც ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხური გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე (ბოლო 2 წლის განმავლობაში) რაც დასტურდება შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ევროპისმცოდნეობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (პროგრამის პირველი ნაწილის დასრულებით). აღნიშნულ ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანი	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ამ მიზნით: 1. უზრუნველყოს სტუდენტები ღრმა და სისტემური ინტერდისციპლინური უახლესი ცოდნით ევროპისა და ევროკავშირის ინტეგრაციის ისტორიის, ევროკავშირის სამართლის, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის და ევროკავშირის პოლიტიკური მოწყობის, მათ შორის, სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავების პროცესის და ევროინტეგრაციის თანამედროვე თეორიების შესახებ; 2. გამოუმუშავოს სტუდენტებს შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ ევროკავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების, ნორმატიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა დოკუმენტების შესწავლა-შემუშავებაში, ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან გაანალიზებაში, ახსნა-განმარტებაში, დასაბუთებაში, ინტერპრეტაციასა და ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვაში; 3. მოამზადოს დარგის მაღალკვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობითა და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით დამოუკიდებლად შეიმუშავებენ პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში არსებულ ინფორმაციის კრიტიკული გაანალიზებისა და შეფასების გზით, ხოლო ამ პროცესში ჩამოყალიბებულ დასკვნებს მაღალი აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებით წარუდგენენ სამეცნიერო წრეებს და პროფესიულ საზოგადოებებს; 4. მოამზადოს ევროპული ღირებულებების მატარებელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მოწოდებულნი იქნებიან საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ საჯარო თუ კერძო სექტორში საქმიანობისას.
საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანი	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი მიზნად ისახავს კვლევითიუნარების მქონე სპეციალისტების მომზადებას აკადემიური საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამა მკვეთრად ორიენტირებულია კვლევებსა და თეორიულ სწავლებაზე. ამ მიზნით პროგრამა უზრუნველყოფს, რომ 1. მოამზადოს დარგის მაღალკვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც შეიმუშავებენ ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში მაღალი აკადემიური სტანდარტების კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, კვლევით ნაშრომებს, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომს ანალიტიკური ნაშრომების შესრულების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით; 2. მოამზადოს ევროპული ღირებულებების მატარებელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მოწოდებულნი იქნებიან საკუთარი ცოდნა, გამოცდილება და კვლევითი უნარები გამოიყენონ სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სექტორში საქმიანობისას, ასევე, აკადემიურ სივრცეში სწავლის მომდევნო საფეხურზე გასაგრძელებლად.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სწავლის შედეგები 1 (სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდგომ)	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1) სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს და მსჯელობს ევროპისა და ევროკავშირის ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკის, ასევე, ევროინტეგრაციის უმთავრესი ასპექტების და ევროინტეგრაციის თანამედროვე თეორიების შესახებ, რაც აძლევს დარგში დაგროვილი ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას; 2) აცნობიერებს ევროპისმცოდნეობის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზებს და ქმნის საფუძველს ევროპისმცოდნეობის სფეროში ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის.
ბ) უნარები	3) კრიტიკულად უდგება და სიღრმისეულად აანალიზებს ევროკავშირსა და მის სამეზობლოში მიმდინარე კომპლექსურ გამოწვევებს, კრიზისებს და მიმდინარე პროცესებს, მათი გადაწყვეტისთვის ნორმატიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საფუძვლებს, მათ შორის, ახალ, ინტერდისციპლინურ გარემოში; 4) შეისწავლის და შეიმუშავებს ევროკავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების მოსაგვარებლად ნორმატიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სახის დოკუმენტებს და ამ პროცესში ინოვაციური მიდგომებით ასინთეზირებს ევროპისმცოდნეობის დარგში დაგროვილ მონაცემებს, მათ შორის, უახლეს კვლევებს; 5) დამოუკიდებლად ქმნის ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში მაღალი აკადემიური სტანდარტების პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; 6) ახდენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შედეგების წარდგენას აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით როგორც აკადემიური, ისე პროფესიული საზოგადოებისთვის;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7) დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლის პროცესს და ახდენს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, ისევე როგორც შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას და განხორციელებას; 8) აანალიზებს საკუთარი საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების დაცვას. ისწრაფვის, მონაწილეობა მიიღოს ევროპული ღირებულებების ფორმირების პროცესში და პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს მათ დასამკვიდრებლად; 9) წვლილი შეაქვს ევროპისმცოდნეობის შესახებ პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში კომპლექსურ მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტირებით და ახალი სტრატეგიული მიდგომების დანერგვით.
სწავლის შედეგები 2 (სამაგისტრო პროგრამის მეორე	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაწილის დასრულების შემდგომ)	
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1) დამოუკიდებლად განსაზღვრავს და აყალიბებს საკვლევ თემატიკას ევროპისა და ევროკავშირის ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკის, ასევე, ევროინტეგრაციის უმთავრესი ასპექტების და ევროინტეგრაციის თანამედროვე თეორიების შესახებ ; 2) ქმნის საფუძველს კვლევის პროცესში ევროპისმცოდნეობის სფეროში ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის.
ბ) უნარები	3) კრიტიკულად და სიღრმისეულად იკვლევს ევროკავშირსა და მის სამეზობლოში მიმდინარე კომპლექსურ გამოწვევებს, კრიზისებს და მიმდინარე პროცესებს, მათი გადაწყვეტისთვის ნორმატიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საფუძვლებს, მათ შორის, ახალ, ინტერდისციპლინურ გარემოში; 4) დამოუკიდებლად ქმნის ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში მაღალი აკადემიური სტანდარტების კვლევით ნაშრომებს და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომს კვლევის უახლესი მეთოდებისა თუ მიდგომების გამოყენებით და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; 5) ახდენს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის შედეგების წარდგენას როგორც აკადემიური, ისე პროფესიული საზოგადოებისთვის;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	6) დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლისა და კვლევის პროცესს, ახდენს საკუთარი სწავლისა და კვლევის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, ისევე როგორც შემდგომი სწავლისა და კვლევის საჭიროებების დადგენას და განხორციელებას; 7) დამოუკიდებლად მოიძიებს, შეარჩევს, აჯგუფებს და შეისწავლის საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, კრიტიკულად აფასებს შეგროვებულ მონაცემებს, უსადაგებს საკვლევ კითხვებს, გამოაქვს დასკვნები და აყალიბებს კვლევის ზოგად შედეგებს; 8) აანალიზებს საკუთარი საქმიანობისა და კვლევის პროცესის ეთიკის ფარგლებს, ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების დაცვას. ისწრაფვის, მონაწილეობა მიიღოს ევროპული ღირებულებების ფორმირების პროცესში და პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს მათ დასამკვიდრებლად;
სწავლება-სწავლის მეთოდები	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება სწავლების მრავალფეროვან მეთოდს: დისკუსია, გუნდური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, ევროკავშირის სიმულაცია და იმიტირებული სასამართლო პროცესი, პრეზენტაციები, ვებინარები, შერეული სწავლება ან დისტანციური ლექციები, როგორც ელექტრონული სწავლების ცალკეული ელემენტი. სასწავლო კურსები არის ინტერაქტიული და ორიენტირებული თეორიისა და პრაქტიკის გააზრებაზე. სწავლის განმავლობაში მაგისტრატურის სტუდენტებს ხშირად უწევთ შემთხვევის ანალიზისა და დახურული ტიპის კითხვებისგან შედგენილი ტესტების ჩაბარება,

	რათა უკეთ გაერკვიონ განსახილველ საკითხში და შეძლონ ევროპული სტანდარტების პრაქტიკისათვის მისადაგება. ლექცია-სემინარები წარმოადგენს პროგრამის სწავლების უმთავრეს მეთოდს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ თეორიული მასალის მომზადება, სხვადასხვა დავალების შესრულება ტესტების, სავარჯიშოებისა თუ სხვა სახით. ლექციებზე მათ აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ დებატებსა და დისკუსიებში. ერთი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი იყენებს სწავლების რამდენიმე მეთოდს ერთდროულად. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რაც მეტად აქტუალური ხდება. თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში სასწავლო პროცესის შემადგენელი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირის სიმულაცია, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ევროკავშირის შესახებ ცოდნის სტუდენტებამდე მიტანის ინოვაციურ გზას, რადგან, სწორედ, მისი მეშვეობით ხდება თავად ევროპული ინტეგრაციის კონცეფციისა და ევროკავშირში არსებული კულტურული მრავალფეროვნების ფენომენის სწორი გაგება. ამასთანავე, სტუდენტებს უყალიბდებათ ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა ორატორული ხელოვნება, წერის დახვეწილი სტილი, მოლაპარაკებების წარმოებისა და პრობლემათა მოგვარების უნარ-ჩვევები. სხვადასხვა იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებით სტუდენტები უკეთ ეცნობიან იმ გარემოს, რაც არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ სასამართლოებში. სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებათ მინიმუმ ერთი შუალედური წერა, რაც ფასდება პროფესორის მიერ შესაბამისი ქულით. ამასთან, როგორც წესი, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ პრეზენტაცია. ამისთვის თითოეულ სტუდენტს ეძლევა გარკვეული თემა, რომელსაც მოამზადებს და წარადგენს აუდიტორიის წინაშე. პრეზენტაციის მსვლელობისას სტუდენტები ერთვებიან დისკუსიაში, სვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და იღებენ პასუხებს პრეზენტატორი სტუდენტისგან; ცალსახა პასუხის არ არსებობის შემთხვევაში სტუდენტები მსჯელობის გზით მიდიან გარკვეულ დასკვნებამდე. პრეზენტაციის გაკეთებამდე სტუდენტები წერილობითი ფორმით ამზადებენ იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რაზეც უნდა წარიმართოს დისკუსია. მიმოხილვა მოიცავს დისკუსიის წარმართვის მთავარ საკითხს, მათ აღმოჩენებსა და დასკვნებს, რაც გააკეთეს საკითხის დამუშავების პროცესში, ისევე როგორც სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს. ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების გარშემო. სტუდენტები აანალიზებენ ევროკავშირში არსებულ მდგომარეობასა და იმ პრობლემებს, რაც არსებობს მისი ინსტიტუტების წინაშე; განიხილავენ ევროკავშირის როგორც ზესახელმწიფოებრივი სუბიექტის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესს, ასევე, მათი საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის საკითხებს. ყველა მეცადინეობას აქვს ინდივიდუალურად შერჩეული სწავლის მეთოდი, რომელიც კონკრეტულად დასახული შედეგის მიღწევაში ეხმარება კურსის ხელმძღვანელს. თუმცა, განზოგადების შემდეგ იკვეთება საერთო მიდგომაც - ე.წ. ლექცია–სემინარების ფორმატი. კერძოდ, საკითხავი მასალის მომზადება სავალდებულოა ლექციაზე მოსვლამდე. ლექცია–სემინარის დაწყებისას პირველი 10–15 წუთი ეთმობა წინასწარ წაკითხული მასალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას, რის შემდეგაც ლექტორი გადადის უკვე დღის განმავლობაში განსახილველი საკითხის ახსნაზე და მთავარი ასპექტების გამოყოფაზე. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია სტუდენტის აქტიური მონაწილეობა დისკუსიაში, რათა მოხდეს მთავარი საკითხების უფრო მეტად

	დაკონკრეტება და სტუდენტამდე მიტანა. სასწავლო კურსის დაწყებამდე ხდება სტუდენტისათვის სრული ლიტერატურის მიწოდება როგორც პროფესორის მიერ მომზადებული რიდერებიდან, ისე ევროპული კვლევების ინსტიტუტისა და თსუ-ის ბიბლიოთეკიდან. სტუდენტები სწავლის პროცესში აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს და ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილ ინტერნეტ საშუალებებს. ამასთან, ევროკავშირის ტემპუსის პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლება და სწავლა“ (INOTLES 543955) ფარგლებში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შეიქმნა ინოვაციური სწავლების ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავს დროთა განმავლობაში ინოვაციური სწავლების მეთოდების (სიმულაციის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სასწავლო კურსები და შერეული სწავლება) დანერგვას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე სიმულაციის მეთოდის აქტიურად გამოყენება ხდება შემდეგი კურსების ფარგლებში: „ევროკავშირის სამართალი“; „ევროკავშირის სამართალი და ინვესტიციები“; საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი და ადამიანის უფლებები“, „საერთაშორისო დავების გადაწყვეტა“, „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი“ (პროფ. ნათია ლაპიაშვილი); „მმართველობა და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ევროკავშირში“; „ევროინტეგრაციის თეორიები“; „სამართლის თეორია“; „სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები - უნივერსალური, რეგიონული (ევროპის საბჭო, ევროკავშირი) და კონსტიტუციური დაცვა“ (ჟან მონეს მოდულის აკადემიური პერსონალი ნინო ლაპიაშვილი); მოლაპარაკებების ხელოვნება (ლექტორი თორნიკე ნოზაძე). ელექტრონული სასწავლო კომპონენტის გამოყენება სტუდენტების ნება-სურვილზეა დამოკიდებული და მათთვის დამატებით სასწავლო წყაროს წარმოადგენს. ამ ეტაპზე თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდის ბაზაზე არსებობს შემდეგი ელექტრონული სალექციო კურსები: 1. სოციალური პოლიტიკა და მულტიკულტურული პროცესები ევროპაში (პროფ. ია ნაცვლიშვილი); 2. სტატისტიკა (პროფ. ქართლოს ყაჭიაშვილი); 3. ევროკავშირის სამართალი (პროფ. ნათია ლაპიაშვილი); 4. ევროკავშირის ინტეგრაციის ეკონომიკა (პროფ. მერაბ აბდალაძე); 5. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი (პროფ. კონსტანტინე კორკელია); 6. საჯარო პოლიტიკა და მდგრადი განვითარება - ევროკავშირის მაგალითი (პროფ. ფარჰად მუხთაროვი). კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სრულიად მომზადებული შეხვდა სწავლების ელექტრონულ და შერეულ ფორმატზე გადასვლას. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული სწავლების ფორმატი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ალტერნატივა.
შეფასების სისტემა	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის სპეციფიკიდან გამომდინარე აქტუალურია, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილისთვის სწავლა-სწავლების კონკრეტული, ასევე ქვემოთ დასახელებული მეთოდები: მოწვეული მომხსენებელი; შემთხვევის ანალიზი; ურთიერთშეფასება და უკუკავშირი; განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების (მათ შორის ონლაინ-ბაზების) გამოყენებით; ბეჭდურ, ციფრულაინ/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა /კრიტიკული წაკითხვა (გააზრება); დისკუსია და დებატები; ჯგუფური და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება სამეცნიერო-კვლევითი სემინარის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო

	ნაშრომის ხელმძღვანელის კონსულტირებით; შერეული სწავლა; ელექტონული სწავლება. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედურ/შუა სემესტრულ რეიტინგულ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და სემესტრის დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიმულაცია, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **შეფასებათა სისტემა აერთიანებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **და ორი სახის უარყოფით შეფასებას:** ვ) (FX) ვერ ჩაბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

	დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის ფარგლებში სტუდენტი თავდაპირველად ეუფლება ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსებს, ხოლო დამასრულებელ სემესტრში გეგმავს და ამზადებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში სტუდენტი მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით სემინარში და სტრუქტურირებული აკადემიური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით ყოველკვირეულად წარადგენს საკუთარი ნაშრომის პროგრესს . სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთიანად დასკვნითი შეფასებით 100-ქულიანი სისტემით; რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და წარმოადგენს დასკვნას შეფასებული ნაშრომის საძიებო ხარისხთან შესაბამისობის თაობაზე; სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, კომისიის წინაშე. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი; ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასებისკრიტერიუმების საფუძველზე; სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 100 ქულა). სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს 50 და მეტი ქულით; სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/Fx) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს ღირებული კომპეტენციების შეძენას სწავლებისთვის, დამოუკიდებელი კვლევის წარმართვისთვის და იძლევა კარიერის შექმნის პერსპექტივებს შემდეგ სფეროებში: - საჯარო სამსახური - არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპული ინსტიტუტები - პოლიტიკური ორგანიზაციები - კერძო სექტორი - საკონსულტაციო ორგანიზაციები - მედია და საინფორმაციო ცენტრები ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება დამატებით დასაქმდეს: - კვლევით ინსტიტუტებში - საგანმანათლებლო დაწესებულებებში - გამომცემლობებში - სამეცნიერო კვლევების განხორციელებით დაინტერესებულ სხვადასხვა საჯარო, თუ კერძო ადგილობრივ/საერთაშორისო კომპანიებსა და ორგანიზაციებში. ევროპისმცოდნეობის მაგისტრს შესაძლებლობა აქვს, სწავლა გააგრძელოს ამავე სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილზე, ან სხვა სამაგისტრო პროგრამებზე როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	ევროპისმცოდნეობის კვლევის მაგისტრს შესაძლებლობა აქვს, სწავლა გააგრძელოს სხვა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	) საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო;) სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.) პროგრამაზე სწავლის საფასური ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისთვის დგინდება შესაბამის უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმებითა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დაფინანსების წესით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსუ-ის პროფესორები, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, თსუ-ის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი (მათ შორის, სამი პროექტორით) და გარემონტებული, 252 კვ. მეტრის ფართი, რომელიც მოიცავს სამ საუდიტორიო მეცადინეობებისთვის განკუთვნილ ოთახს, მათ შორის, მცირე საკონფერენციო დარბაზს, ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილ სამ კაბინეტსა და ბიბლიოთეკას. თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეიქმნა ინსტიტუტის დაარსებისთანავე, 2007 წელს, - ევროკომისიის *TACIS*-ის პროექტის ფარგლებში. მომდევნო ეტაპზე, ბიბლიოთეკა მნიშვნელოვნად განახლდა 2012-2014 წლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული *ENPI* პროექტის ფარგლებში. ასევე, 2017 წელს განხორციელდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ფუნდამენტური განახლება ევროკავშირის *ტემპუსის INOTLES* პროექტის ფარგლებში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება მომდევნო წლებში განხორციელდა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან. პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, მისი განხორციელებისას გამოიყენება, ასევე, თსუ-ის იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების მატერიალური რესურსები. სტუდენტებს შეუზღუდავად მიუწვდებათ ხელი თსუ-ში მოქმედ ყველა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზაზე. **პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით:**) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ბაზები;) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფაკულტეტების რესურს–ცენტრები;) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library - თსუ-ის ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ - თსუ-ის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 - თსუ-ის ფაკულტეტების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; - ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდებაერთი მხრივ, უნივერსიტეტის, ასევე ინსტიტუტის ბიუჯეტებიდან, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამისთვის განსაზღვრული თანხა და გრანტები მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების თარგმნაზე, გამოცემასა დაბეჭდვაზე და სხვ.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო პროგრამა "ევროპისმცოდნეობა" დაფუძნდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TACIS პროექტის (TACIS/2006/119115) ფარგლებში 2007 წელს. პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი, რომელიც ინტერფაკულტეტური თანამშრომლობის ფარგლებში სთავაზობს არჩევით კურსებს თსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს და ამ პროცესში ხელს უწყობს ევროპული ღირებულებების, ასევე, ევროპისმცოდნეობის სფეროში სწავლისა და სწავლების ინოვაციური მეთოდოლოგიის დანერგვა-გავრცელებას. ევროპისმცოდნეობის მაგისტრისა და ევროპისმცოდნეობის კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საბჭო. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ინტეგრირებულ ნაწილებს წარმოადგენს : 1. ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება ვილნიუსის უნივერსიტეტთან/ლიეტუვა და ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან/ლატვია გაფორმებული ხელშეკრულებებით, და ასევე, 2. რეგიონული სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში. რეგიონული სამაგისტრო პროგრამა „ადამიანის უფლებები და დემოკრატიზაცია" წარმოადგენს ევროკომისიის ეგიდით მიმდინარე გლობალური კამპუსის ინიციატივის ნაწილს, რომელიც ხორციელდება მსოფლიოს მასშტაბით ასზე მეტი უნივერსიტეტისგან შემდგარი კონსორციუმის ფარგლებში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში პროგრამის კოორდინატორია ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთის რესპუბლიკა) და კონსორციუმში პარტნიორი უნივერსიტეტების სახით ჩართულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო), მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოლდოვის რესპუბლიკა), ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა) და ბიშკეკის ამერიკული უნივერსიტეტი (ყირგიზეთი). სამაგისტრო პროგრამის განხორციელება დაიწყო 2015 წლიდან და თსუ-ის ევროპული კვლევების ინსტიტუტი ყოველი აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში მასპინძლობს პროგრამის სტუდენტებს. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში

	შეთავაზებული კურსების შესახებ ინფორმაცია მითითებულია თანდართულ კურიკულუმში. ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამები ხორციელდება ვილნიუსის უნივერსიტეტთან (ლიეტუვის რესპუბლიკა) და ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან (ლატვია) თანამშრომლობით. სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩაირიცხებიან ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ პარალელურად ჩაირიცხონ ვილნიუსის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „საერთაშორისო და ევროპული სამართალი“ და ორივე პროგრამისთვის გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების გავლის შემდეგ მოიპოვონ, ერთის მხრივ, ევროპისმცოდნეობის კვლევითი მაგისტრის აკადემიური ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან; ხოლო, მეორეს მხრივ, - სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ვილნიუსის უნივერსიტეტიდან. ანალოგიურად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩაირიცხებიან ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ პარალელურად ჩაირიცხონ ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „სტრატეგიული კომუნიკაცია და მმართველობა“ და ორივე პროგრამისთვის გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების გავლის შემდეგ მოიპოვონ, ერთის მხრივ, ევროპისმცოდნეობის კვლევითი მაგისტრის აკადემიური ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან; ხოლო, მეორეს მხრივ, - მაგისტრის აკადემიური ხარისხი სტრატეგიულ კომუნიკაციასა და მმართველობაში ვიძემეს უნივერსიტეტიდან. ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამები ეფუძნება წინამდებარე დოკუმენტსა და თსუ-სა და ვილნიუსის უნივერსიტეტს/ ვიძემეს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ შეთანხმებებს. ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამების მიზნებისთვის გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კოპონენტების შესახებ ინფორმაცია მითითებულია როგორც თანდართულ კურიკულუმში, ასევე, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების N1 დანართებში, სახელწოდებით: „ინტეგრირებული სასწავლო გეგმა“. ორმაგი ხარისხის პროგრამების განხორციელება დაიწყო 2022-2023 სასწავლო წლიდან.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **იურიდიული**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ევროპული კვლევების ინსტიტუტი**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში

სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა**

კრედიტების რაოდენობა: **120 (ორი 60-60 ECTS კრედიტიანი ნაწილით)**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: **სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ნათია ლაპიაშვილი**, შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, შვეიცარიის ჟენევის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი საერთაშორისო დავების მოგვარებაში, ლატვიის რიგის სამართლის სკოლის მაგისტრი საერთაშორსო სამართალსა და ევროკავშირის სამართალში, თსუ სამართლის მაგისტრი და ბაკალავრი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

თამაზ ზუბიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დანიელა ურსე, ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი;

სამაგისტრო პროგრამის ავტორი და აკადემიური კოორდინატორი: ნინო ლაპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ჟან მონეს მოდულის მფლობელი აკადემიური პერსონალი, ედინბურგის უნივერსიტეტის (გაერთიანებული სამეფო) სამეცნიერო სამაგისტრო პროგრამის მეცნიერებათა მაგისტრი პოლიტოლოგიაში, სამართლისა და მმართველობის სკოლის (რომი და ათენი/იტალია) სამართლის მაგისტრი ევროკავშირის სამართალში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ბუდაპეშტი/უნგრეთი) იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი ადამიანის უფლებების სფეროში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი და ბაკალავრი.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 11/04/2022, N 36/2022.

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): *2026-27 სასწავლო წელი*

პროგრამის სტრუქტურა

(პირველი ნაწილი)

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი

N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
									I	II	
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	საგამოცდო დრო	სულ				
		სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 ECTS									
1.1	LawMAES 1.1	ევროპის ისტორია	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		თეიმურაზ პაპასქირი
1.2	LawMAES 1.2	ევროკავშირის სამართალი	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		ნათია ლაპიაშვილი, ნინო ლაპიაშვილი
1.3	LawMAE1.3	ევროკავშირის ინტეგრაციის ეკონომიკა	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		გიორგი მაჭავარიანი
1.4	LawMAES 1.4	ევროკავშირის მართვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		ნინო ლაპიაშვილი
1.5	LawMAES 1.5	აკადემიური წერა	5	45	78	2	125	წინაპირობის გარეშე	√	√	გიული შაბაშვილი
1.6	LawMAES 1.6	კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები	5	45	80		125	წინაპირობის გარეშე	√	√	დანიელა ურსე
1.7	LawMAES 1.7	ევროინტეგრაციის თეორიები	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√	√	ნინო ლაპიაშვილი
		არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS									
1.8	LawMAES 1.8	მოლაპარაკებების ხელოვნება	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		თორნიკე ნოზაძე
1.9	LawMAES 1.9	სამართლის თეორია	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		ნინო ლაპიაშვილი
1.10	LawMAES	მოსახლეობა და ევროპული	5	45	75	5	125	წინაპირობის		√	თამაზ ზუბიაშვილი

	1.10	განვითარება						გარეშე			
1.11	LawMAES 1.11	ევროკავშირის სამართალი და ინვესტიციები	5	45	75	5	125	ევროკავშირის სამართალი		√	ნათია ლაპიაშვილი
1.12	LawMAES 1.12	საერთაშორისო სამართალი	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√	√	კონსტანტინე კორკელია
1.13	LawMAES 1.13	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი და ადამიანის უფლებები	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√	ნათია ლაპიაშვილი
1.14	LawMAES 1.14	სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები - უნივერსალური, რეგიონული (ევროპის საბჭო, ევროკავშირი) და კონსტიტუციური დაცვა	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√	ნინო ლაპიაშვილი
1.15	LawMAES 1.15	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და უმცირესობები	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√	ბესარიონ ბოხაშვილი
1.16	LawMAES 1.16	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	5	30	92	3	125	ევროკავშირის სამართალი		√	სოლომონ მენაბდიშვილი
1.17	LawMAES 1.17	საერთაშორისო დავების გადაწყვეტა	5	18	102	5	125	წინაპირობის გარეშე		√	ნათია ლაპიაშვილი
1.18	LawMAES 1.18	პრაქტიკა	5	30	95		125	წინაპირობის გარეშე		√	ხატია ბუხრაშვილი
1.19	LawMAES 1.19	ამერიკის სამართლის ისტორია	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		ნინო ლაპიაშვილი
1.20	LawMAES 1.20	ეკონომიკის პრინციპები	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		გიორგი მაჭავარიანი
1.21	LawMAES 1.21	ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკისა და სამართლის გავლენა კანდიდატი ქვეყნების დემოკრატიზაციაზე (ერაზმუს+ ჟან მონეს მოდული)	10	60	180	10	250	ევროკავშირის მართვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი		√	ნინო ლაპიაშვილი

თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

თარიღი ——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი

პროგრამის სტრუქტურა

(მეორე ნაწილი)

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
									I	II	
				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	საგამოცდო დრო	სულ				
სავალდებულო სასწავლო კურსი - 5 ECTS											
2.1	LawMAES2.1	სამეცნიერო-კვლევითი სემინარი	5	45	80	0	125	წინაპირობის გარეშე		√	ნინო ლაპიაშვილი
სავალდებულო კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS											
2.2	LawMAES2.2	სამაგისტრო ნაშრომი	30		750		750	20 ECTS		√	
არჩევითი სასწავლო კურსები - 15 ECTS											
2.3	LawMAES2.3	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	5	30	92	3	125	ევროკავშირის სამართალი	√		სოლომონ მენაბდიშვილი
2.4	LawMAES2.4	საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტები	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		არჩილ ყარაულაშვილი
2.5	LawMAES2.5	სოციალური პოლიტიკა ევროპაში	5	45	78	2	125	წინაპირობის გარეშე	√		დანიელა ურსე
2.6	LawMAES2.6	ევროკავშირის კონკურენციის სამართალი	5	30	92	3	125	ევროკავშირის სამართალი	√		სოლომონ მენაბდიშვილი

2.7	LawMAES2.7	საერთაშორისო და ევროპული კავშირის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		გიორგი მესხი
2.8	LawMAES2.8	ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		კონსტანტინე კორკელია
2.9	LawMAES2.9	ევროკავშირის საერთაშორისო კერძო სამართალი	5	30	92	3	125	ევროკავშირის სამართალი	√		სოლომონ მენაბდიშვილი
2.10	LawMAES2.10	საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√		ნათია ლაპიაშვილი
2.11	LawMAES2.11	პრაქტიკა	5	30	95		125	წინაპირობის გარეშე	√	√	ხატია ბუხრაშვილი
2.12	LawMAES30	ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკისა და სამართლის გავლენა კანდიდატი ქვეყნების დემოკრატიზაციაზე (ერაზმუს+ ჟან მონეს მოდული)	10	60	180	10	250	ევროკავშირის მართვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი	√	√	ნინო ლაპიაშვილი
თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS											

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი